# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 73

ქალაქი ქუთაისი 27 სექტემბერი 2023 წელი

„ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის №177 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N177 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05.05.2021, №010250020.35.123.016580), კერძოდ, დადგენილების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 პუნქტი:

„11. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო და კერძო სამართლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები.“.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის
საკრებულო
მას. N 17
9 10 2023 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო